საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 16 ნოემბრის

დადგენილება № 2228

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო
პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ №20 დადგენილების შესაბამისად ადგენს:
დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“ / Civil Engineering Bachelor Degree Program of San Diego State University. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში / B.S. Degree in Civil Engineering; პროგრამის ხანგრძლივობა – 4 წელი, 8 სემესტრი; კრედიტების რაოდენობა – 260 კრედიტი (130 სემესტრული ერთეული ამერიკული სისტემით);
2. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამშენებლო ინჟინერია“ / Construction Engineering Bachelor Degree Program of San Diego State University. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – მეცნიერების ბაკალავრი სამშენებლო ინჟინერიაში / B.S. Degree in Construction Engineering; პროგრამის ხანგრძლივობა – 4 წელი, 8 სემესტრი; კრედიტების რაოდენობა – 260 კრედიტი (130 სემესტრული ერთეული ამერიკული სისტემით).

ასევე, აკადემიური საბჭო განსაზღვრავს, გამოცხადდეს აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტთა მიღება 2017-2018 სასწავლო წლიდან სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საგნების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების, მისაღები ადგილებისა და სწავლების საფასურის გათვალისწინებით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე